განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2003 წლის სახელისუფლებო ცვლილებების შემდეგ, საქართველო მტკიცედ დაადგა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზას. 2008 წელს ჩატარებული პლებისციტის შედეგად, ამომრჩეველთა 77%-მა დაადასტურა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანების სურვილი. ქვეყანაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალა ხელისუფლება, რაც ადასტურებს კანონპროექტის მიღების აუცლებლობას საგარეო კურსის უცვლელობის, საქართველო დეოკუპაციის და პოსტსაბჭოურ ორგანიზაციებში არგაწევრიანების შესახებ.

ა.ბ.)კანონპროექტის მიზანი

ამ კანონის მიზანია კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ქვეყნის მისწრაფებას, გაწევრიანდეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და კანონის ძალით დადასტურდეს კურსის უცვლელობა, ამავდროულად შეიქმნას საკანონმდებლო გარანტიები, რომ საქართველო გააგძელებს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას და არასოდეს გაწევრიანდება ისეთ ორგანიზაციებში სადაც დომინანტ ქვეყნად სარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ოკუპანტი მხარე, რუსეთის ფედერაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, საქართველო განუხრელად გააგრძელებს სწრაფვას ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის;

უცვლელი რჩება ქვეყნის ევოკავშირში გაწევრიანების პოლიტიკა;

საქართველო არასოდეს გაწევრიანდება ისეთ ორგანიზაციებში, სადაც ოკუპანტი რუსეთის ფედერაცია დომინანტი ქვეყანაა;

საქართველო ინარჩუნებს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას და ისწრაფვის დეოკუპაციის პროცესის დასაჩქარებლად;

ბ)კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

ბ.გ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ)სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები აღებას.

ბ.ე)კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართა ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ)კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი) ასეთი არ არსებობს.

გ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა)კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ)კანონპროექტის მიმარტება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ)კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა)კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია(დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

დ.ბ)კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების), ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

ე)კანონპროექტის ავტორი:

გიორგი ბარამიძე

ვ)კანონპროექტის ინიციატორი:

გიორგი ბარამიძე